ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მიხეილ სამხარაძე
წევრი: ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 434172584

სახე:

☐ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

☐ **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება**

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი**

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2022 წლის 23 სექტემბერს გამოცემული MES 8 22 0001151434, ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ვიზიტის განხორციელებამდე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ უზრუნველყო მოთხოვნილი მტკიცებულებების დროულად წარმოდგენა. 2022 წლის 10 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი ქ. მარნეულში. წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 60-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 56 პროფესიული სტუდენტი, აქედან 27 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე და იმყოფება მომლოდინე რეჟიმში. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 125 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლების“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1-1

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, უზრუნველყონ C გარემოს მოწყობა ისეთ აუდიტორიაში, სადაც შესაძლებელი იქნება 25 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახონ ინფორმაცია კლინიკური სწავლის განმახორციელებელ ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის შესახებ (1/7).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VIII. სტანდარტების შეფასება

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**დამტკიცება** დირექტორის 2019 წლის 11 თებერვლის N2 ბრძანება **ცვლილებები:** დირექტორის 2019 წლის 4 მარტის N8 ბრძანება დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანება დირექტორის 2019 წლის 3 აპრილი N13 ბრძანება დირექტორის 2019 წლის 6 მაისის N14 ბრძანება დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის N5 ბრძანება დირექტორის 2022 წლის 28 იანვრის N516 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის ქ.13ბ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	125
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული	სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

X. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს“ გააჩნია „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესყიდვების დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნულ პროგრამაზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 60-ით. ვიზიტის პერიოდში კოლეჯში ირიცხებოდა 56 პროფესიული სტუდენტი, აქედან 27 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე და იმყოფება მომლოდინე რეჟიმში. დაწესებულებას სურს დამატებით 65 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვება და ერთ მიღებაზე აპირებს მაქსიმუმ ორი ჯგუფის (50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიული სტუდენტი) მიღებას. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და შეამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ხუთი A გარემოს (N1,4,5,6,10), ერთი B გარემოს (N18) და ერთ C გარემოს აუდიტორია. A გარემოს თითოეული აუდიტორია აღჭურვილია საჭირო რესურსით 25 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა, სკამი), ასევე თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1 პროექტორი, 1 პრინტერი და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემოს აუდიტორია აღჭურვილია საჭირო რესურსით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი) 30 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მითითებული B გარემო გამოიყენება მხოლოდ ორი პროგრამისთვის - „საექთნო განათლება“ და „აღმზრდელი“. აღნიშნულ პროგრამებში B გარემო საჭიროა მხოლოდ ერთი მოდულის განსახორციელებლად („საექთნო განათლება“ - საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში; „აღმზრდელი“ - ინფორმაციული წიგნიერება 2), ასევე დაწესებულება ერთ მიღებაზე გეგმავს მხოლოდ ორი ჯგუფის მიღებას თითოეულ პროგრამაზე. ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, სასწავლო გეგმებით განსაზღვრული დატვირთვის გათვალისწინებით, მითითებული B გარემოს გამტარუნარიანობა საკმარისია „საექთნო განათლების“ და „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობების გათვალისწინებით.

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი C გარემო (14 აუდიტორი) გათვლილია პრაქტიკული სწავლების მოდულებისთვის („ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) და სრულად არის აღჭურვილი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით (მულაჟი, სამედიცინო ინვენტარი), თუმცა აუდიტორიის ფართი არის ძალიან მცირე და ვერ უზრუნველყოფს 25 პროფესიული სტუდენტის განთავსებას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პრაქტიკული სწავლების მოდულები („ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „ჯეო ჰოსპიტალთან“ და ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი კარიტასი“-თან. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ C გარემოს, ეს გახლავთ დამატებითი ლაბორატორია, რომლისთვისაც მათ აქვთ 25 სტუდენტისთვის გათვლილი ცარიელი აუდიტორია, სადაც შესაძლებელია აღნიშნული C გარემოს გადატანა. ***<u>დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს C გარემოს მოწყობა ისეთ აუდიტორიაში, სადაც შესაძლებელი იქნება 25 პროფესიული სტუდენტის განთავსება.</u>***

კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „ჯეო ჰოსპიტალი“ (13.09.2018), შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (21.02.2019) და ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი კარიტასი“ (29.11.2018). ხელშეკრულებებში დანართების სახით მითითებულია მოდულების ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაც ხდება პრაქტიკის ობიექტზე. კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2019 წლის საშემოდგომო მიღების 7 (შვიდი) პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტების სწავლებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს აღნიშნულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის დოკუმენტები (10.10.2022), რომელთა მიხედვით, პრაქტიკის განმახორციელებლები პროგრამის პრაქტიკული/კლინიკური მოდულების გასავლელად/ასათვისებლად/სწავლებისთვის უზრუნველყოფენ 125 (ასოცდახუთი) პროფესიული სტუდენტის მიღებას. ექსპერტებს ასევე წარუდგინეს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტებიდან „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ განთავსებულია თბილისში, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯის დირექტორის მოადგილემ (სასწავლო დარგში) განმარტა, რომ მოდულების ,,კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ განხორციელების ვადაში პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულები არიან და ივლიან თბილისში, ხოლო მათ ტრანსპორტირებაზე კოლეჯი არ არის პასუხისმგებელი.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები არ მოიცავს ინფორმაციას კლინიკური სწავლის განმახორციელებელ ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის შესახებ (1/7), ***<u>რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, ასახონ აღნიშნული საკითხი ხელშეკრულებებში.</u>***

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ წარმომადგენლებს/პრაქტიკის ინსტრუქტორებს, რომლებმაც სრული მზაობა გამოთქვეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის (ჯამში 125 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 ზოგადი და 17 პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის. კლინიკური და პრაქტიკული სწავლებისათვის პრაქტიკის ინსტრუქტორების რაოდენობა კი შეადგენს- 8-ს. ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში კლინიკა ვალდებულებას იღებს კოლეჯს მიაწოდოს და ჩართოს კვალიფიციური სპეციალისტები - პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირები (პრაქტიკის ინსტრუქტორები). სასწავლო გეგმაში მოდულებისთვის განსაზღვრული საათებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განმახორციელებლების ინდივიდუალური დატვირთვების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული განათლების მასწავლებლების დარგობრივი და სწავლება-შეფასების კომპეტენციის შემოწმების მიზნით, ექსპერტებმა შეისწავლეს განმახორციელებლების პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პროფესიული და ზოგადი მოდულების განმახორციელებლებად შერჩეული პირების კომპეტენცია. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოდულის განმახორციელებლებს აქვთ სწავლებისა და ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.

განმახორციელებლად შერჩეული პირების კვალიფიკაცია, პროფესიული სამუშაო და სწავლების გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას და შეფასებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 19 აპრილის N3114 ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს ‘საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „დებულების“ 23-ე მუხლით კი განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტების მიერ შესწავლილი პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმისა და მასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მას გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, არის დარგის სპეციალისტი, მიღებული აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. ასევე, ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს.

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში განთავსებული სასწავლო რესურსები და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის შემოწმება. შედეგად, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ან ელექტრონული (რაც ასევე გაწერილია მოდულებში) სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებ. გვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას დირექტორის 2018 წლის 30 ოქტომბრის N26 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა და სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული კოლეჯის სივრცისა და სერვისების შეთავაზება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. საპროგნოზო ბიუჯეტი დაანგარიშებულია 25 პროფესიულ სტუდენტზე და რენტაბელობის ზღვარი არის 18 პროფესიული სტუდენტი. შემოსავლების ნაწილი შედგება ვაუჩერულ დაფინანსებისა და სტუდენტის გადასახადისგან, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მასწავლებლის ანაზღაურებას, მასალა/ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე ხარჯებს, დიპლომის გაცემის, სასწავლო ვიზიტების და პრაქტიკის ორგანიზების ხარჯებს, ადმინისტრაციისა და კომუნალურ ხარჯებს, პერსონალის განვითარებისა და გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

ექსპერტთა შეფასებით, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. ცვლილებები პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;
5. სამედიცინო საქმიანობის სანებართვო მოწმობები;
6. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
8. ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზის მონაცემები;
9. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
10. სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი;
11. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
12. კოლეჯის დებულება;
13. ვიზუალური დათვალიერება;
14. ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი:

09.11.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: